u-forum



საერთაშორისო ფორუმი
მიწათსარგებლობა და
ურბანული დაგეგმარების პრაქტიკები
ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყნების ქალაქებში

01-02.03.2019

დღის წესრიგი

პარასკევი, 1 მარტი

9:30-10:00	რეგისტრაცია და ყავა	სააქტო დარბაზის მისაღები
10:00-10:30	**გახსნის ცერემონია**	
ენები: ქართული, ინგლისური	**გიორგი შარვაშიძე**, რექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **თამარ დოლბაია**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, თსუ **იოსებ სალუქვაძე**, ფორუმის ხელმძღვანელი, თსუ	სააქტო დარბაზი
10:30-11:30	**პლენარული მოხსენება**	
ენები: ქართული, ინგლისური	**დავით აბულაძე**, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე - *"ურბანული განზომილებები"*	სააქტო დარბაზი
11:30-12:00	შესვენება ყავით	სააქტო დარბაზის მისაღები
12:00-13:30	**სესია 1. პანელური დისკუსია: ურბანული პრაქტიკების რეტროსპექტივა: 1991-დღემდე**	
ენები: ქართული, ინგლისური	**თავმჯდომარე: ვლადიმერ ვარდოსანიძე**, არქიტექტორი და ქალაქმგეგმარებელი **მოდერატორი: გოგი აბაშიძე**, არქიტექტორი **გიორგი ბათიაშვილი**, არქიტექტორი **ლევან ბერიძე**, არქიტექტორი **მერაბ ბოლქვაძე**, არქიტექტორი და ქალაქმგეგმარებელი **პავლე ძინძიბაძე**, არქიტექტორი **ნინო გვენცაძე**, სივრცითი მოწყობის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო *კითხვა-პასუხი (40 წთ)*	სააქტო დარბაზი

13:30-14:30 მსუბუქი სადილი

სააქტო დარბაზის მისაღები

14:30-16:00

სესია 2. პანელური დისკუსია:
მიმდინარე ქალაქგეგმარებითი პრაქტიკები

ენები:
ქართული,
ინგლისური

თავმჯდომარე: დავით ნარმანია,
თბილისის ყოფილი მერი

მოდერატორი: ნიკოლოზ სიმონიშვილი,
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციია

ქეთი ბოჭორიშვილი,
ანაკლიის განვითარების კონსორციუმი

ელენა დარჯანია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიკოლა კოსტრიცია,
ქ. ჟიტომირის საკრებულო, უკრაინა

სერგეი სევერინი, მოლდოვის სოფლის მეურნეობის, გარემოსა და რეგიონული განვითარების სამინისტრო

სილვია დრაგომირი, მოლდოვის სოფლის მეურნეობის, გარემოსა და რეგიონული განვითარების სამინისტრო.

კითხვა-პასუხი (40 წთ)

სააქტო
დარბაზი

სააქტო დარბაზის მისაღები

16:00-16:30 შესვენება ყავით

16:30-19:00 **საქვეითო ტური ქალაქში**

შეხვედრის ადგილი:
თსუ-ს ცენტრალური შესასვლელი

19:00 **კონფერენციის ვახშამი**
(მოწვეული სტუმრებისთვის)

10:00-11:00	**პლენარული მოხსენება**	
ენები: ინგლისური, ქართული	**მაიკლ ჯენტილე**, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალი Eurasian Geography and Economics ასოცირებული რედაქტორი *"ქალაქი და ურბანული 'ევროპეიზაცია' ევროკავშირთან ასოცირებულ ქვეყნებში: პალმანოვა თუ პალმა დი მონტექიარო?"*	ოთახი 115
11:00-11:30	**შესვენება ყავით**	ნულოვანი სართული
11:30-13:00	**სესია 3. პანელური დისკუსია: ინტეგრირებული მიდგომები ურბანული დაგეგმარებისთვის**	
ენები: ქართული, ინგლისური	**თავმჯდომარე: მამუკა სალუქვაძე**, ურბან-ეკოლოგი, სითი ინსტიტუტი საქართველო **თანათავმჯდომარე: გიორგი ლემონჯავა**, ეკოლოგი **შოთა მურღულია**, ეკონომისტი, ქუთაისის ყოფილი მერი **პაატა შეშელიძე**, ეკონომისტი, ახალი ეკონომიკური სკოლის თანადამფუძნებელი და პრეზიდენტი **მაიკლ ჯენტილე**, გეოგრაფი, ოსლოს უნივერსიტეტი **კონსტანტინ მეზენცევი**, გეოგრაფი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტი **რასტინ ზარკარი**, აჯამ მედია კოლექტივის რედაქტორი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი **უჩა აბაშიძე**, სამხედრო საკითხების სპეციალისტი *კითხვა-პასუხი (40 წთ)*	ოთახი 115
13:00-14:00	მსუბუქი სადილი	ნულოვანი სართული

ინგლისურენოვანი პარალელური სესიები: შაბათი, 2 მარტი

11:30-13:00	**პარალელური სესია 3A. ინტეგრირებული მიდგომები: საცხოვრისი და სოციალური რესტრუქტურიზაცია ურბანული განახლების სტრატეგიებში**	ოთახი 317
14:00-15:30	**პარალელური სესია 4A: ინტეგრირებული მიდგომები: ურბანული პოლიტიკები და მმართველობა**	ოთახი 317

14:00-15:30	**სესია 4. პანელური დისკუსია: ურბანისტიკის და ურბანული დაგეგმარების სწავლება**	
ენები: ქართული, ინგლისური	**თავმჯდომარე: ანტონიო კასტელ ბრანკო**, ლისაბონის უნივერსიტეტი **თანათავმჯდომარე: იოსებ სალუქვაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **ლევან ბერიძე,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვიცე-თავჯდომარე **ნიკა შავიშვილი**, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **ნინო ჩაჩავა**, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **შოთა ნიჟარაძე**, კავკასიის ტექნოლოგიური სკოლის დეკანი, კავკასიის უნივერსიტეტი **ია კუპატაძე**, არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი **ჯესი ვოგლერი**, არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი **პიოტრ ტრეპაჩი**, ჟურნალის Urban Development Issues მთავარი რედაქტორი, პოლონეთის სივრცითი პოლიტიკისა და საცხოვრისის ეროვნული ინსტიტუტი *კითხვა-პასუხი (40 წთ)*	ოთახი 115
15:30-16:00	**დახურვის ცერემონია** **სესიების თავმჯდომარეები**	ოთახი 115
16:00-17:00	**ღვინის დაგემოვნება**	ნულოვანი სართული

პარალელური სესია 3B: მიმდინარე პრაქტიკები: ცხოვრების ხარისხი, მობილობა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა	ოთახი 318
პარალელური სესია 4B: მიმდინარე პრაქტიკები: ურბანული დაგეგმარება გარემოს გათვალისწინებით	ოთახი 318

მოხსენებები

დავით აბულაძე - ურბანული განზომილებები

მოხსენება შეეხება სხვადასხვა საზოგადოებებსა და სხვადასხვა დონეებზე არსებულ მოსაზრებებსა და მოლოდინებს ურბანისტიკის და არქიტექტურის მიმართ. ავტორი ასევე ისაუბრებს იმ პირობებზე, რომლებსაც უნდა პასუხობდეს პროფესიული სივრცე, რათა შეინარჩუნოს ევროპული რკვევადობა და კონკურენტულობა და რა რეგიონული თუ ეროვნული გამოწვევების გადაჭრას მოელიან მისგან ადგილობრივი პოლიტიკური და სოციალური სივრცეები.

დავით აბულაძე, PhD, 2000 წლიდან დღემდე იკავებს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობას. არქიტექტორთა კავშირი ნებაყოფლობითი, საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდუალურ წევრობაზე. მისი მიზანია ამ სფეროს განვითარების ხელშეწყობა, რაც ასევე მოიცავს საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას, საპროექტო სამუშაოების შეფასება-კონსულტირებას და გამოცდილების გავრცელებას.

მაიკლ ჯენტილე - ქალაქი და ურბანული "ევროპეიზაცია" ევროკავშირთან ასოცირებულ ქვეყნებში: პალმანოვა თუ პალმა დი მონტექიაროო?

მოხსენება "ევროპეიზაციის" ურბანული განზომილებების ძიების მცდელობაა. ის საფუძვლად იღებს ორი იტალიური ქალაქის განვითარების ტრაექტორიას - პალმანოვას, რომელიც რენესანსის უტოპიური იდეებით შთაგონებული გეგმით აშენდა და პალმა დი მონტექიაროს, რომელსაც რადიკალურად განსხვავებული ურბანული ხასიათი აქვს. ამდენად, ლექციის მთავარი ამოცანაა ევროპული ქალაქურობის ერთიანი განზომილების პრობლემატიზაცია, რადგან ეს საკითხი, პირველ რიგში, იდეოლოგიურია.

მაიკლ ჯენტილე, PhD არის საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროფესორი ოსლოს უნივერსიტეტში და რეგიონზე ფოკუსირებული, ერთ-ერთი ყველაზე ციტირებული საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის Eurasian Geography and Economics ასოცირებული რედაქტორი. ბატონი მაიკლი ცნობილია თავისი კვლევებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე სივრცითი პროცესების შესახებ. მისი ინტერესების სფეროს მოიცავს ქალაქებისა და ტერიტორიების სოციალური სტრატიფიკაცია, საცხოვრისი და ურბანული გეოპოლიტიკა. ის ამტკიცებს, რომ ტერმინი "პოსტ-საბჭოთა ქალაქი" დამაბრკოლებელია აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების შესწავლისას და მოუწოდებს ამ რეგიონის ქალაქების სხვა, გლობალური დებატების ფარგლებში გააზრებისკენ.

პლენარული მოხსენებები

თარიღი და დრო: 1 მარტი 2019, 10:30 - 11:30 სთ.
ადგილი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსის სააქტო დარბაზი (მის.: ი. ჭავჭავაძის გამზირი #1, მე-2 სართული)

თარიღი და დრო: 2 მარტი 2019, 10:00 - 11:00 სთ.
ადგილი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსის 115-ე აუდიტორია (მის.: ი. ჭავჭავაძის გამზირი #1, 1-ელი სართული)

პლენარული მოხსენებებისთვის უზრუნველყოფილია ქართულ-ინგლისური ორმხრივი სინქრონული თარგმანი

სესია 1

პანელური დისკუსია: ურბანული პრაქტიკების რეტროსპექტივა საქართველოში 1991 წლიდან - დღემდე

ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული პროფესიული ქცევითი პრაქტიკები დიდ გავლენას ახდენენ ახალ ქალაქთმშენებლობით სტრატეგიებზე, მიდგომებსა და ნორმებზე. ის დასავლური კონცეფციები, რომლებიც საქართველოში ინერგება, ამ ჩამოყალიბებულმა ქცევითმა პრაქტიკებმა, ასე რომ ვთქვათ, საკუთარ „პრიზმაში გაატარეს“. აშკარაა ისიც, რომ ადგილობრივი პროფესიული ცოდნა სუსტი გამოდგა თანამედროვე, ევროპული მიდგომების სრულყოფილად გააზრების თვალსაზრისით. მან ვერ შეძლო ეფექტიანად ადაპტირება მმართველობის ახალ რეჟიმთან და ადამიანისა და სივრცის მისეულ განსაზღვრებასთან. ამგვარად, პანელური დისკუსიის მიზანია საქართველოში ურბანული დაგეგმარების ევოლუციის ანალიზი სხვადასხვა პერსპექტივიდან 1991 წლიდან დღემდე.

სესიის თავმჯდომარე: ვლადიმერ ვარდოსანიძე

ვლადიმერ ვარდოსანიძე არის არქიტექტურის კანდიდატი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი. ის ათწლეულების მანძილზე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ურბანისტთა საერთაშორისო საზოგადოების ბიუროს წევრი, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, "ჰაბიტატ-ჯორჯიას" დირექტორი, გაეროს პროგრამა "ჰაბიტატის" ბიუროს წევრი. ის არის ასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ასევე მონაწილეობდა სახელმწიფო პოლიტიკებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებაში. მისი პროფესიული ინტერესების სფეროებია: ურბანიზაცია, ქალაქთმშენებლობის თეორია, ქალაქგანვითარების სოციოკულტურული საფუძვლები, ქალაქური კულტურა, ურბანული მემკვიდრეობის დაცვა.

“დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქალაქგეგმარების სფეროში მიმდინარე პროცესებს. საბჭოთა ქალაქგეგმარების განმსაზღვრელი გარემოებების მოკლე აღწერის შემდეგ ის ყურადღებას გაამახვილებს იმ ახლებურ ფაქტორებსა და პოლიტიკურ მექანიზმებზე, რომლებმაც გავლენა იქონიეს პროფესიის დღევანდელობაზე. ის, ასევე, განმარტავს განსხვავებებს ქალაქმგეგმარებლების მიერ კონსტანტირებულ განვითარებით მიმართულებებსა და განხორციელებულ ქმედებებს შორის, ასევე იმ მიზეზებს, რომლებიც განაპირობებენ მოცემულ განსხვავებებს. მოხსენება საფუძველს უქმნის დისკუსიის მსჯელობის თემას - რას მოთხოვს ქალაქგეგმარებისგან საერთაშორისო საზოგადოება და რა დამოკიდებულებაშია ამ მოთხოვნებთან ადგილობრივი ტენდენციები.”

სესია 2

პანელური დისკუსია: მიმდინარე ქალაქგეგმარებითი პრაქტიკები

სესია განიხილავს თანამედროვე გლობალური ტენდენციების ლოკალურ რეალობებზე ადაპტაციის აუცილებლობისა და დაკავშირებული პრობლემების საკითხს. ის აფასებს ქალაქგეგმარებისა და ქალაქის მართვის გამოწვევებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა (2014) და ახალი ურბანული დღის წესრიგის (2016) ჭრილში. დისკუსია ასევე ცდილობს განსაზღვროს და შეაფასოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებების ადგილი ადგილობრივი გადაწყვეტების შემუშავებისას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აღიარებული ურბანული კონცეფციების, სტრატეგიებისა და სამართლებრივი მექანიზმების ადაპტირების საკითხებს. პანელის წევრები ასევე იმსჯელებენ გარე ფაქტორების - როგორიცაა, პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური გარემოებები - გავლენაზე დაგეგმარებასა და სხვადასხვა ჯგუფების მოლოდინებზე ამ საქმიანობისადმი.

სესიის თავმჯდომარე: დავით ნარმანია

დავით ნარმანია, ეკონომიკის დოქტორი, გახლავთ ქართველი პოლიტიკოსი და თბილისის ყოფილი მერი (2014-2017). 2012-2014 წლებში იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. ის წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციაში და ამავე დროს კითხულობდა ლექციებს. ამჟამად ბატონი დავითი არის. ამჟამად ბ-ნ დავითი არის ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. იგი არის 42 სამეცნიერო კვლევის ავტორი და 48 კვლევის თანაავტორი.

"მოხსენება მიმოიხილავს ურბანისტიკის როლს ქალაქის მართვაში. ის მოიცავს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა საზღვარი გეგმარებასა და პოლიტიკას შორის - რა ტიპის და წონის ნდობა შეიძლება მიენიჭოს მგეგმარებელს, როგორც დაქირავებულ სპეციალისტს. მოხსენება ასევე განიხილავს იმ რეალობებს, რომელთა გათვალისწინება სცდება პროფესიულ სივრცეს და მიეკუთვნება სეკურიტიზირებული პოლიტიკების გარემოს. ამასთან, დაისმის შეკითხვა - როგორ განისაზღვრება სეკურიტიზირებული მოცემულობები გეგმარებით საკითხებში."

სესია 3

პანელური დისკუსია: ინტეგრირებული მიდგომები ქალაქგანვითარებაში

ქალაქგეგმარება ინტერდისციპლინური სფეროა, სადაც ე.წ. "მომიჯნავე დარგების" პროფესიონალები ერთად აგეგმარებენ ქალაქებსა და რეგიონებს. ხშირად, ის ღირებულებები, რომლებითაც ისინი ეყრდნობიან, განსხვავდება ერთმანეთისგან ან, უკიდურეს შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამ პანელის მიზანია მიმოიხილოს განსხვავებულ დარგებსა და პოზიციებს შორის კოლაბორაციის შესაძლებლობები. მომხსენებლები იმსჯელებენ განსხვავებული დისციპლინების ქალაქგეგმარებაში „გადათარგმნის" და ურბანულობის განკერძოებული საკითხების უპირატესობის გამოვლენის სირთულეებზე ერთ-ერთი საკითხი ასევე შეეხება ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტების გაშუქებისა და საზოგადოებისათვის მიწოდების პრობლემატიკას.

სესიის თავმჯდომარე: მამუკა სალუქვაძე

ბატონი მამუკა სალუქვაძე არის არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი. „სითი ინსტიტუტი საქართველოს" დირექტორი. მისი პროფესიული ინტერესებია: ქალაქების ეკოლოგია და ურბანული გარემოს კომპლექსური შეფასების საკითხები. *"მოხსენების მიზანია მიმოიხილოს სხვადასხვა დარგების, კულტურებისა და ეროვნული ნორმებისათვის დამახასიათებელი მოცემულობებისა და ერთეულების თავსებადობა: როგორ აღიქვამს სხვადასხვა სპეციალისტი ერთსა და იმავე რეალობას და რა საშუალებებით ასახავს მას; როგორ უნდა მოხდეს ამ ასახული მოცემულობების საერთო ღირებულებებსა და ერთიან სიდიდეებზე დაყვანა."*

სესიის თანა-თავმჯდომარე: გიორგი ლემონჯავა

"დღეს ნათლად ჩანს ქალაქგეგმარებითი სფეროში მიმდინარე გარდაქმნები და მათი თანმდევი დუღილის პროცესი. მოდერნისტული მიდგომებიდან, „ზემოდან ქვემოთ" მიმართული გადაწყვეტებიდან, ქალაქეგმარება იცვლის მიმართულებას და ფოკუსირებას ახდენს „ქვემოთ" - ინდივიდებსა და „გამჭოლად" - სხვადასხვა დარგებში არსებულ სიახლეებზე. გარემოსდაცვითი პრობლემატკის შესახებ ცოდნის დაგროვებამ - კლიმატის ცვლილებამ - გარემოს მდგომარეობა პრიორიტეტულ ბაზისად აქცია. შედეგად, დღეს განვითარებულ სამყაროში მგეგმარებელი აღარ ცვლის მდინარის კალაპოტს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჭალის ბუნებრივ ფორმას დისონანსი შეაქვს დაგეგმილი უბნის სიმეტრიაში. ბუნებრივი ობიექტების მიმართ - გეგმარებითი გადაწყვეტები მიიღება არა „ზემოდან ქვემოთ" - არამედ ამ ობიექტების ბუნებრივი მახასიათებლებისა და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით."

სესია 4

პანელური დისკუსია: ურბანისტიკისა და ურბანული დაგეგმარების სწავლება

მსოფლიო ქალაქებში მიმდინარე ტრანსფორმაციები საგანმანათლებლო დაწესებულებებს უბიძგებენ ქალაქებზე ორიენტირებული პროგრამები და კურსები შეიმუშაონ. ურბანიზმზე ფოკუსირებულ პროგრამებზე მოთხოვნა ასევე განპირობებულია საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციით - ლოკალური კონტექსტის მიმართ მზარდი მგრძნობელობის და ყურადღების გამოჩენით. პანელი ასპარეზს უთმობს წამყვან პედაგოგებს სწავლების, კვლევისა და სამეცნიერო ცოდნის გავრცელების ინოვაციური ხერხების განსახილველად.

სესიის თავმჯდომარე: ანტონიო კასტელ ბრანკო

ანტონიო კასტელ ბრანკო, არქიტექტურის დოქტორი, ლისაბონის უნივერსიტეტის პროფესორი. ის იყო ტემპუსის პროექტის RETHINK-ის კოორდინატორი. *"მოხსენება მიმოიხილავს არქიტექტურისა და ურბანისტიკის მამართულებით ახალი საგანმანათლებლო კურსების დანერგვის პრაქტიკას - უკვე განხორციელებული ტემპუსის პროექტის მაგალითზე."*

სესიის თანათავმჯდომარე: იოსებ სალუქვაძე

იოსებ სალუქვაძე, PhD გახლავთ თსუ-ს საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროფესორი და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. ის ასევე არის თსუ-ს ახალი სადოქტორო პროგრამის - "ურბანისტიკა" - ხელმძღვანელი. ის არის სამი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კომიტეტის წევრი, სამი წიგნის ავტორი და რედაქტორი. მას ასევე ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია.

"განათლებისა და კვლევის თემებზე მჯელობისას, მთავარია უნარ-ჩვევების საკითხი. რა საბაზისო ცოდნას - ტექნიკებსა და თეორიებს უნდა ფლობდეს პროფესიონალი ურბანისტი? დღევანდელი კონტექსტის გათვალისწინებით, რა გზებითაა შესაძლებელი ასეთი უნარების განვითარება?"

PARALLEL SESSION 3A

INTEGRATED APPROACHES: HOUSING AND SOCIAL RESTRUCTURING IN URBAN RENEWAL STRATEGIES

Head: Davit Sichinava, Ivane Javakhishvili Tbilisi State University 5

Dr. Anar Valiyev, School of Public and International Affairs, ADA University, Baku, Azerbaijan
Post-Soviet Urban Renewal and its Discontents: Gentrification by Demolition in Baku 15

Dr. Oleg Pachenkov, Ekaterina Korableva, and Liubov Chernysheva, Centre for Applied Research at the European University at Saint Petersburg
Social life of urban planning terms: Gentrification, Densification, and Ghettoisation in a Post-socialist City (case of Saint Petersburg, Russia) 30

Eugene Slonimerov, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Caucasus University
From Tbilisi to Toronto and Back: the Revanchist City 15

Discussion 25

PARALLEL SESSION 3B

CURRENT PRACTICES: QUALITY OF LIFE, HUMAN MOBILITY AND ACCESS TO SERVICES

Head: Tornike Kordzaia, Tbilisi Free University 5

Tatia Kartlelishvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Post-socialist urban transformation of mining cities (on example of Chiatura) 15

Sophia Todua, Georgian Technical University
Spatial planning and universal access to education 15

George Kankia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Social Dimension Of Urban Mobility – Assessing Public Transport Accessibility And Social Exclusion For The Socially Vulnerable Defining The Methodology 15

Lilit Babayan, National University of Architecture and Construction of Armenia
Cluster Structure of Territories' Organization as an Instrument of Assessment, Efficient Use and Sustainable Development of Ra Land Resources 15

Discussion 25

PARALLEL SESSION 4A

INTEGRATED APPROACHES: URBAN POLITICS AND GOVERNANCE

Head: Suzy Harris-Brandts, Massachusetts Institute of Technology, USA	5
Dr. Kostyantyn Mezentsev, Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine and Dr. Michael Gentile, University of Oslo, Norway Crossing Regeneration Street: New-build Gentrification in Sotsgorod	15
Elvira Gizatullina and Liubov Chernysheva, Centre for Applied Research at the European University at Saint Petersburg, Russia Size matters: challenge of the scale and breakdowns of self-governance mechanisms in the high-rise residential complex (case of "North Valley", St. Petersburg, Russia)	30
Suzy Harris-Brandts, Massachusetts Institute of Technology, USA and Davit Sichinava, Ivane Javakhishvili Tbilisi State University The Politics of Urban Recovery in a Stalinist-Era Resort Town: Heritage, Tourism Development, and Displaced Communities in Tskaltubo, Georgia	15
Discussion	25

PARALLEL SESSION 4B

CURRENT PRACTICES: NATURE SENSITIVE URBAN DESIGN

Head: Elena Darjania, Tbilisi State University	5
Leyla Musayeva, Pillə , Baku, Azerbaijan Regulation of urban public spaces and the participativeness of citizens in Baku, Azerbaijan	15
Levan Alpaidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University The evaluation of ecosystem services of Tbilisi green infrastructure (the case study of urban public parks of Tbilisi, Georgia)	15
Gérard Ronzatti and Petar Lovric, SEINE DESIGN, Paris, France Floating Infrastructure - Large Scale Public Spaces on Water	15
Dariusz Mikołajczyk and Janusz Komenda, National Institute for Spatial Policy and Housing, Kraków, Poland Strategic environmental impact assessment and preparation of spatial development plans - Polish experience in the light of the entry into force of the new legal provisions in Georgia	15
Discussion	25

ფორუმის შესახებ

ფორუმი ინტერდისციპლინური საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაა. მისი მიზანია სადისკუსიო პლატფორმის შექმნა აკადემიური წრეების, პრაქტიკოსი ურბანისტებისა და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის.

წელს ფორუმი ეძღვნება ქალაქგეგმარების საკითხებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში. მისი მიზანია განიხილოს ის ურბანული პრაქტიკები და კონცეფციები, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების საპასუხოდ ინერგება. ამ თვალსაზრისით, ფორუმის ფარგლებში ვიმსჯელებთ, ერთის მხრივ, ურბანული დაგეგმარების ადგილობრივად ჩამოყალიბებულ ჩვევებსა და გზებზე და, მეორეს მხრივ, ევროკავშირის ღირებულებების ქალაქგეგმარებაში გადატანაზე; ასევე ექსპერტიზის, კვლევისა და განათლების საკითხებზე.

მოგეხსენებათ, საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებები 2014 წელს გაფორმდა. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებები ტექნიკური ხასიათის დოკუმენტებია, მათ გააჩნიათ ძლიერი გეოპოლიტიკური გავლენა: ისინი ადასტურებენ ასოცირებული ქვეყნების ევროპულ იდენტობას. მართალია, ხელშეკრულებები უშუალოდ ქალაქებს არ ეხება, თუმცა, ისინი თითქმის ყველა ეკონომიკური სექტორის რეფორმირებას მოიაზრებენ. ეს ცვლილებები კი უდაოდ იქონიებს გავლენას იმ მიდგომებზე, რომლებიც გამოიყენება ქალაქების შესწავლისა და დაგეგმარებისას.

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულება მიუთითებს რეგიონის ე.წ. "გარდამავალი პერიოდის" დასასრულსა და ახალი მეტამორფოზის დასაწყისზე. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულმა სოციო-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ურბანულ ლანდშაფტს შესამჩნევი კვალი დაატყვეს: გარემოსდაცვითი და სოციალური უთანასწორობა, სატრანსპორტო და საბინაო კრიზისი - ეს საკითხები უკვე დოკუმენტირებულია, როგორც აკადემიურ ლიტერატურაში, ასევე სამთავრობო დოკუმენტებშიც. ამ პრობლემების გადაჭრა ქალაქების მთავრობებს უკვე ახალი კონცეპტუალური და ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში მოუწევთ.

სწორედ ამიტომ შეუძლებელია ევროკავშირთან ჰოლისტიკური ჰარმონიზაცია დარჩეს ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისა და მეცნიერების, ასევე ადგილობრივი მთავრობების ყურადღების მიღმა. ამდენად, ფორუმში მონაწილეობისათვის ვიწვევთ ყველა იმ დარგის სპეციალისტებს, ვისი ყოველდღიური საქმიანობაც საქალაქო სივრცის ფორმირებაა.

ორგანიზატორები და პარტნიორები

ფორუმი ორგანიზებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ, **სსიპ “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის” გრანტის ფარგლებში**.

ფორუმს აშუქებს საცხოვრისისა და სივრცითი პოლიტიკის პოლონეთის ეროვნული ინსტიტუტის საერთაშორისო, სამეცნიერო, რეფერირებადი ჟურნალი ‘Urban Development Issues’. აღნიშნულ ჟურნალს ფორუმის შერჩეული მოხსენებები სპეციალური კრებულის სახით გამოსაქვეყნებლად გადაეცემა.

ღონისძიებას მხარს უჭერს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს დავალებით GIZ-ის მიერ განხორციელებული პროექტი - „**საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში რეგიონული განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის პლატფორმა**“.

სამეცნიერო კომიტეტი:
აბელ პოლეზე, დუბლინის უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი
იოსებ სალუქვაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკოლოზ აბაშიძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი
ვლადიმერ ვარდოსანიძე, ქალაქმგეგმარებელი
რუსუდან თევზაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საორგანიზაციო ჯგუფი:
ელენა დარჯანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გვანცა სალუქვაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მამუკა სალუქვაძე, სითი ინსტიტუტი საქართველო
ნინო ხოსიტაშვილი, სითი ინსტიტუტი საქართველო
სოფია თოდუა, სითი ინსტიტუტი საქართველო
ანდრო ქორთუა, სითი ინსტიტუტი საქართველო
ანი ქართველიშვილი, სითი ინსტიტუტი საქართველო
დალი დარჯანია, StudioPress

კონფერენციის მასალები განთავსდება საიტზე:

www.uforumtbs.com

2019